აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 11

31 მარტი 2006 წ. ქ. ბათუმი

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად
საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-3 მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

1. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
მუხრან კაკაბაძე – უსკოს აპარატის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ლევან სამნიძე – უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
დარია მიქელაიშვილი – უსკოს მთავარი ბუღალტერი, კომისიის წევრი;
გუგული დუაძე – უსკოს კომისიის წევრი, კომისიის წევრი;
2. დაევალოს კომისიას მოახდინოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.
3. ინვენტარიზაციას ექვემდებარება უსკოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი ინვენტარი.
4. ინვენტარიზაციის მიზანია უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად, მატერიალური პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და შესაძლო დანაკლისის და მეტობის გამოვლენა, გადაფასება.
5. ინვენტარიზაციის განხორციელების შედეგად მიღებული მასალები კომისიამ გადასცეს ეკონომიკურ სამსახურს მ/წ 7 აპრილამდე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე